თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. თბილისი 2018 წელი, 15 იანვარი, 18:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით ყუმელიძე, თეიმურაზ ისაკაძე, დავით ულუმბაჯურიძე, ჯაბა ჯიმშარიანი, წიკოლოზ ვაჩეიშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ვახტანგ შაქარიშვილი, გოჩა თევდორაძე, გიორგი გაბაშვილი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი
ვალერი ჭიღლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი
თემურ ბოლოთაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი
გვანცა ნიკოლაიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი
ეკა ცეცხლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#**12-0318012172-03)**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#**12-0318012172-03)**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318012172-03)

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (#12-03173634 03; 12 031801522 03; 12-03173149-03 – AR1549565 (მე-2 პოზიცია - ოორნიკე ერისთავის ქუჩა); 04/5713 - AR1484436 (მე-6 პოზიცია - სოფელი აგარაკი შუა მინდორი)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სიხარულიძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318012172-03)

დადგენილების პროექტი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, რომელსაც ეყოლება 2 (ორი) მოადგილე. სამსახურში იქნება 3 (სამი) განყოფილება - შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით: ურბანული პოლიტიკის განსაზღვრისა და კვლევის განყოფილება; ურბანული მართვის განყოფილება და ურბანული დაგეგმარების და განახლების განყოფილება. სამსახურის ძირითად ფუნქციებად განისაზღვრება: თბილისის ტერიტორიაზე მდგრადი ურბანული განვითარების მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება და განტარება, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოება, თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე მიმდინარე ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა და ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების სტრატეგიების განსაზღვრა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადება.

აღსანიშნავია რომ, ახალი საქალაქო სამსახურის შექმნასთან და მის ფუნქციებთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია წარმოადგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებმა თემურ ბოლოთაშვილმა და გვანცა ნიკოლაიშვილმა.

კომისიის სხდომაზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისის წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

შესაბამისად, დადგენილების პროექტს მიეცა დადებითი შეფასება და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(#12-0318012172-03)**

დადგენილების პროექტი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, სამსახურის უფროსს ეყოლება 3 (სამი) მოადგილე, ნაცვლად 4 მოადგილისა. ამასთან, სამსახურში იქნება 6 (ექვსი) განყოფილება, ნაცვლად 9 (ცხრა) განყოფილებისა - შემდეგი სტრუქტურული: ქვედანაყოფებით: ტექნიკურ ეკონომიკური განყოფილება, ექსპლუატაციის განყოფილება, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის მართვის განყოფილება, შენობა ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მართვის განყოფილება, საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის მართვის განყოფილება, საპროექტო განყოფილება. აღსანიშნავია, რომ უქმდება სამსახურის აპარატი, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება და ნარჩენების მართვის მონიტორინგის განყოფილება. სამსახურის აპარატის და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციების წაწილობრივ განსახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი იქნება ტექნიკურ ეკონომიკური განყოფილება, ხოლო ნარჩენების მართვის მონიტორინგის განყოფილების გაუქმებასთან ერთად უქმდება სამსახურის ფუნქცია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დარიცხვისა და ამოღების პროცესის ორგანიზებასთან მიმართებით.

კომისიის სხდომაზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისის წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

შესაბამისად, დადგენილების პროექტს მიეცა დადებითი შეფასება და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის და

*„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **19** აპრილის **N2-1** დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის **67-ე** მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(#12 0318012172 03)**

დადგენილების პროექტი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფროსს ეყოლება 4 (ოთხი) მოადგილე, ნაცვლად პირველი მოადგილისა და 3 (სამი) მოადგილისა. სამსახურში იქნება 1 (ერთი) სამმართველო (რომელიც თავის მხრივ შედგება 6 (ექვსი) განყოფილებისგან) და 4 (ოთხი) განყოფილება, ისევე როგორც დღეს. პროექტის თანახმად, სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით: ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველო, სამართალდამცავი უზრუნველყოფის განყოფილება, რეკლამების და ხაზობრივი ნაგებობების განყოფილება, მონიტორინგის განყოფილება, და სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილება. უქმდება სამსახურის აპარატი და სამსახურს ემატება რეკლამების და ხაზობრივი ნაგებობების განყოფილება. ამასთან, სამსახურს ემატება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ცალკეული სამართალდარღვევების გამოვლენის და წერილების დაცვაზე კონტროლის, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება. აღნიშნული ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი იქნება მონიტორინგის განყოფილება. ასევე სამსახურს ემატება, კეთილმოწყობის წესების დარღვევაზე დამრღვევი პირების მიმართ კანონით დადგენილი ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება, რომლის განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი იქნება რეკლამებისა და ხაზობრივი ნაგებობების განყოფილება.

კომისიის სხდომაზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისის წევრმა ნიკოლოზ ვარციაშვილმა.

*შესაბამისად, დადგენილების პროექტს მიეცა დადებითი შეფასება და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ **73-ე** მუხლის **მე-2** პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და*

*„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **19** იანვრის **N2-1** დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის **67**-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **30** დეკემბრის **№20-105** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (#12 03173634 03; 12 031801522 03; 12-03173149-03 – AR1549565 (მე-2 პოზიცია - თორნიკე ერისთავის ქუჩა); 04/5713 - AR1484436 (მე 6 პოზიცია სოფელი აგარაკი შუა მიწდორი)

კომისიამ ასევე განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ყურადღებას აღვნიშნავ, რომ მითითებული წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განცალკევების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 5 წინადადება. ამასთან ყურადღებას აღვნიშნავ, რომ წარმოდგენილი ცვლილებების 5 წინადადებას ემატება წინა პერიოდში გადადებული 2 საკითხი:

1. წერილი №12 03173149 03 10 11.2017წ; (AR1549565), მე -2 პოზიცია, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ქუჩა N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.070), (10396 კვ.მ.) ზუსტდება კონტური განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. სამრეწველო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, (“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 19.10.2017 წლის ოქმი #42), განმცხადებელი: მ.პაპუკაშვილი.

2. წერილი №04/5713 - 11.05.2017წ,(AR1484436) მე-6 პოზიცია, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელი აგარაკი, შუა მინდორში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№72.16.09.513, 746 კვ.მ), ხდება კონტურის დაზუსტება სარეკრეაციო ზონა 3 სა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის. სარეკრეაციო ზონა 3-ი იცვლება საცხოვრებელ ზონა 1-ით. *კომისიის სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული მხარე ინგა ხვიჩია. მისი თქმით, მიწის ნაკვეთი შემენილი აქვს 2007 წელს, 2009 წელს კი დაედო შემზღუდავი ზონები, რითაც დაირღვა საკუთრებაზე მისი კონსტიტუციური უფლებები. ასევე განმარტა, რომ მიწის*

ნაკვეთის სამშენებლო განვითარება არ ქმნის სივრცით-ტერიტორიულ პრობლემებს.

სხდომაზე ფუნქციური ზონის ცვლილებებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოადგინეს და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლები თემურ ხოლოთაშვილი, გვანცა ნიკოლაიშვილი და ეკა ცეცხლაძე.

ფუნქციური ზონის ცვლილებები ძირითადად მოწონებულ იქნა.

წარმოდგენილი ცვლილებების მიღების შესაბამისად განხორციელდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება 7 ერთეულ შემთხვევაში.

კომისიის სხდომაზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისის წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წერილებით - №12-03173634-03 - 29.12.2017წ; №12-031801522-03 - 15.01.2018წ; №12-03173149-03 - 10.11.2017წ. (AR1549565) მე-2 პოზიცია; №04/5713 11.05.2017წ. (AR1484436) მე-6 პოზიცია - 7 წინადადება, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სიხარულიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სიხარულიძე